სარჯიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 22 მარტი 2006 №63 (2685) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეპსის თასი და შტორმი ფეხბურთის ფედერაციაში

პრეზენტაციაზე მთავრობამაც შეიარა

5

შენ ყველაზე მაგარი ხარ!

ინტერვიუ ძვირფასად მოთამაშე ვიქტორია რავასთან

14

პირველად იყო მინგე

გუშინ ტირანაში ახალგაზრდული მარტო თამაში არ ყოფილა: ბიჭებმა ხელიც გაიქნიეს

ლადო ნადირაშვილმა ალბანელებს პენალტი კი აუღო, მაგრამ...

ვოდორეზოვამ გედევანიშვილი ათეულს დაუმიზნა

ხუთი წუთი და იმედი ელენესგან ბოლო ვარჯიშის ბოლოს:

— კვალიფიკაციის წინ ბოლო ვარჯიში მქონდა. თითქმის ყველაფერი გამომივიდა და იმედია, კვალიფიკაციას ლიდერებში დავასრულებ. ჩემთან ერთად ფავორიტებმაც ისრიალეს, განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ, ერთი შეხედვით, ჩემზე უკეთესად მომზადებული მხოლოდ ორი-სამი მოციგურავეა, მაგრამ გასათვალისწინებელია ფავორიტთა ავტორიტეტი და გამოცდილება. საერთო ვარჯიშს ჩემი მწვრთნელი ელენა ვოდორეზოვაც ესწრებოდა და მისი დასკვნით, თუ ძალიან არ შემეშალა რამე, მსოფლიოს ჩემპიონატი, სულ მცირე, ათეულში უნდა დავასრულო, მაგრამ მე ხუთეულის იმედი მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჟიოტაჟი ცოტა, დანაკლისი ბევრი



დავით თავართქილაძე
ტირანიდან

ხვალ „ქემალ სტაფაზე“ მხოლოდ 2000 გულშემატკივარი თუ იქნება, არ გაგიკვირდეთო — მითხრა ალბანელმა კოლეგამ. მართლაც, ტირანაში მატჩამდელი აჟიოტაჟი თითქმის არ შეიმჩნევა. ბილეთი კი 10 დოლარი ღირს.

ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის შემდეგ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა „ქემალ სტაფაზე“ 13 ფეხბურთელით ივარჯიშა: გიორგი ლომაია, გრიგოლ ჭანტურია, ზურაბ მენთეშაშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ზაალ ელიავა, კახა ალადაშვილი, გოგიტა გოგუა, ლევან მაღრაძე, ლაშა ჯაკობია, ვასილ გიგიაძე, გიორგი ონიანი, ჯაბა კანკავა და მათე ღვინიანიძე. 18-კაციანი განაცხადის შესავსებად კლაუს ტოპმიოლერის ნაკრებს 5 ფეხბურთელი დაემატება ახალგაზრდულიდან: გიორგი განუგრავა, სანდრო იაშვილი, ალექსი ბენაშვილი, გიორგი სეთურიძე და გიორგი ფოფხაძე. რაც შეეხება მეკარე ნუკრი რევიშვილს, იგი ყაზანის „რუბინმა“ არ გამოუშვა.

შემადგენლობაში პრობლემები ალბანელებსაც აქვთ, თუმცა მათ შორის უფრო ახმახი იგლი ტარეს არყოფნაა გამოსარჩევი. სამაგიეროდ, ჩამოვიდნენ „სიენას“ ფორვარდი ერიონ ბოგდანი და ბუნდესლიგაში მოთამაშენი, ალტინ ლალა და ერვინ შკელა. ისე კი, ალბანელთა თავკაც ჰანს-პეტერ ბრიგელს ძირითადის 5-6 ფეხბურთელი ეყოლება საქართველოსთან.

სხვათა შორის, ახლა მოლაპარაკება მიდის ბრიგელსა და ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციას შორის — შესაძლოა, გერმანელ მწვრთნელს კონტრაქტი გაუგრძელონ, მაგრამ ეს ამბავი არანაირად არაა დაკავშირებული საქართველოსთან მოგება-წაგებაზე. ალბანელი ჟურნალისტების თქმით, დღევანდელი მატჩის შედეგი მოლაპარაკების შედეგზე არ იმოქმედებს.

და კიდევ, ტირანაში ერთ-ერთი გერმანული ტელეარხის ჟურნალისტები ჩამოვიდნენ. ისინი კლაუს ტოპმიოლერზე და საქართველოს ნაკრებზე აკეთებენ ვიდეომასალას.

ვარჯიშის შემდეგ ტოპმიოლერს გავესაუბრე და თავიდან ახალგაზრდული ნაკრების წაგებას შევეხეთ...

— ეს ტესტ-მატჩი იყო, ახალი ფეხბურთელები გამოვცადეთ, ახალი სისტემა გამოვიყენეთ... ასე რომ, წაგებისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ.

— ეროვნული ნაკრებიც ამ სისტემით ითამაშებს, როგორითაც დღეს ახალგაზრდულმა ითამაშა?

— არა მგონია, სისტემა შევცვალოთ. ვფიქრობ, მაინცდამაინც კარგი არაა ხშირი ცვლა. ვცდილობთ, ყველა ასაკის ნაკრები ერთიან სისტემაში მოვაქციოთ.

არა, მაგრამ კი

ტირანაში გოლების გარდა მუშტებიც იყო

დავით თავართქილაძე ტირანიდან

ალბანეთი 2:1 საქართველო

1:0 მემა (2), 1:1 გეწაძე (9), 2:1 ბაკაი (82)

ველიამ ვერ გაიტანა პენალტი (2, მეკარე)

ალბანეთი: კოლიქი, ლილა (ბაკაი 46), დუშკუ, გუგა, არაპი, ველია, ხეფა (ბელო 46), ლიკა, ბემა, აბაზაი, მემა
მწვრთნელი: არტან ბუშატი

საქართველო: ნადირაშვილი (ლორია 46), მჭედლიშვილი (ხუბუტია 46), სეთურიძე, გიგაური, ნავალოვსკი (ფოფხაძე 67), განუგრავა (მერებაშვილი 46), ხმალაძე, ბ. ჟღენტი, გელაშვილი, ს. იაშვილი (ბენაშვილი 46), გეწაძე
მწვრთნელი: რალფ მინგე

გაფრთხილება: განუგრავა, მჭედლიშვილი, მემა, იაშვილი, დუშკუ, ბაკაი ბენაშვილი

გაძევება: გეწაძე (80), არაპი (80)

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა არწასაგები თამაში წააგო — ჩვენები მეტოქეს არაფერში ჩამორჩებოდნენ და მომენტებში ჯობდნენ კიდეც.

პირველივე წუთებზე ქართველების დაცვის ცენტრში არეულობა შეიქმნა, ალბანელთა ფორვარდი ბემა ნადირაშვილთან პირისპირ დარჩა და მსაჯმაც პენალტი გამოსტყუა. ველიას დარტყმული 11-მეტრიანი, ნადირაშვილმა კი მოიგერია, მაგრამ ბურთს მემამ მიუსწრო და მასპინძლები დაწინაურდნენ.

ქართველებმა მყის გაიწიეს პასუხის გასაცემად, ჩვენებურთა შეტევებს განუგრავა ხელმძღვანელობდა, გამთანაბრებელი გოლი კი ასე გავიდა — მჭედლიშვილმა ფლანგური ჯარიმა ჩააწოდა, ბურთი იაშვილმა თავით დაუგდო გეწაძეს, რომელმაც მეკარეს გადაავლო და 1:1.

თანაბარი თამაში წავიდა. ჩვენი 21-წლამდელები ორთაბრძოლებში არ ჩამორჩებოდნენ მეტოქეს, თუმც სახიფათო მომენტების შექმნა უჭირდათ. დაწინაურების უკეთესი შანსი მასპინძლებს ჰქონდათ — ნადირაშვილი გამოსვლაზე შეცდა, მემამ მეკარისგან მიტოვებული კარის დალაშქვრა თავურით მოინდომა, მაგრამ მჭედლიშვილმა ზედ კარის ხაზიდან თავითვე გამოიტანა ბურთი.

სტუმრებსაც შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა — გელაშვილის მონადირებული ჯარიმა გეწაძემ შეასრულა და ოდნავ ააცილა მიზანს.

მეორე ტაიმისთვის რალფ მინგემ ოთხი შეცვლა განახორციელა, თუმც ტაქტიკური სქემა იგივე დატოვა. ცენტრფორვარდის პოზიცია გელაშვილმა დაიკავა, გიორგი სეთურიძემ კი დაცვის მარჯვენა ფრთაზე გადაინაცვლა. უნდა ითქვას, რომ სეთურიძე სტუმართაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

შეუპოვარი ბრძოლა გაგრძელდა და თამაშიც მეტწილად მინდვრის ცენტრში იყო, ტაიმის შუიდან კი სიტუაცია გამწვავდა. ალბანელებმა უხეშობას უმატეს და კინკლაობამ და გაწევ-გამოწევამაც იმატა.

79-ე წუთზე რენატო არაპიმ ბენაშვილს სახეში ხელი გაარტყა, რასაც ჩვენებურთა რეაქცია მოჰყვა, ბენაშვილს ყველაზე აქტიურად გეწაძე გამოექომაგა, ვინც არაპისთან ერთად გააძევა მსაჯმა.

აქედან ორ წუთში ბექა ჟღენტი ისე დაშავდა, თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო, რალფ მინგეს ყველა შეცვლა გახარჯული ჰქონდა და ალბანელებიც რიცხობრივ უპირატესობაში აღმოჩნდნენ.

მიუხედავად ამისა, ალბანელებმა დიდი უპირატესობა ვერ მოიპოვეს, მაგრამ ბენაშვილის შეცდომით მაქსიმალურად ისარგებლეს — მოედნის ცენტრში ბურთი აართვეს ჩვენებურს და ელის ბაკაიმ 25 მეტრიდან გაუტანა ლორიას, არადა, აუღებელი დარტყმა ნამდვილად არ ყოფილა.

კაცნაკლულმა ქართველებმა ბოლო ძალა მოიკრიბეს, შეუტიეს, მაგრამ ვეღარაფერს გამორჩნენ.

მატჩის შემდეგ დაშავებული ნავალოვსკი და ჟღენტი თანაგუნდელებმა სასტუმროში ხელით შეიყვანეს — ჟღენტს გადაადგილებაში მინგეც ეხმარებოდა.

ალბანეთ — საქართველოს გაწევ-გამოწევაც არ დაჰკლებია

ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
ლიდსი 0:1 კრ. პალასი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები
ბრედფორდი 1:0 ბლეკპული
დონკასტერი 0:0 კოლჩესტერი
ჯილინგემი 3:2 ბრენტფორდი
უოლსოლი 0:2 იოვილი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩები
ბერი 1:1 ოქსფორდი
ჩელტენემი 2:2 რექსემი
როჩდეილი 2:2 გრიმსბი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
სკარბორო 1:2 ძონვი
სოთპორტი 2:0 აკრინგტონი
უოკინგი 1:2 ალდერშოტი

ასოციაციის თასი
მეოთხედფინალი
ბირმინგემი 0:7 ლივერპული

შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
სტრანრარი 2:2 როსი
ბრეჩინი 0:3 სენტ მირენი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ეარი 2:4 გრეტნა
დამბარტონი 0:1 ალოა
პიტერჰედი 1:1 ფორფარი
რეითი 1:2 პარტიკი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ალბიონი 1:0 ქუინზ პარკი
არბროთი 3:0 მონტროუზი
კოუდენბითი 4:1 ისტ ფაიფი
ისტ სტირლინგი 0:7 სტენჰაუზმუირი

იაპონია

ჯეი ლიგა
IV ტური
ფუკუოკა 0:1 ნაგოია
კაშიმა 3:1 კოფუ
ნიიგატა 0:2 ივატა
ოიტა 1:2 იოკოჰამა
შიმიცუ 1:2 იჩიჰარა
ურავა 3:0 სერეზო
კავაზაკი 2:2 ტოკიო
კიოტო 2:2 ჰიროშიმა

საფრანგეთი

თასის მერვედფინალი
კოლმარი 1:4 *რენი*
ნანტი 3:0 დიჟონი
ლიონი : ბასტია

საბერძნეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
აეკ : აგროტიკოსი

თურქეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
ქაისერი 1:0 *ბეშიქთაში* (0:2)

პოლონეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
კორონა 0:0 *ზაგლებე* *(0:2)*

ბელგია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
შარლერუა 0:1 მუსკრონი
სტანდარდი 1:2 ვარეგემი

ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები (U-21)
გერმანია 3:1 სომხეთი

ავსტრია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
ლეობენი 2:0 კერნტენი
კუფშტაინი — შვანენშტადტი
გადაიდო

თასის მერვედფინალი
ალტახი 2:0 შტურმი
ავსტრია (მ) 0:5 *რიდი*
სენტ პიოლტენი 1:2 *მრატკორნი*

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXIX ტური
ბარსელონა 3:1 ხეტაფე

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
მიუნსტერი 0:1 კარლ ცაისი
ერფურტი 0:0 ობერჰაუზენი
ლიუბეკი 2:1 ზანკტ პაული
ვუპერტალი 1:0 ვატენშაიდი
ქემნიცი — კილი გადაიდო

ახალკაცი ფიფაში

ფედერაცია ქუჩის ფეხბურთს ვერავის ანდობს

ბადრი ჯითილაძის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი უჩა უგულავა და ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე წუხელ უნგრეთში გაემგზავრნენ. ბუდაპეშტი ორი დღის განმავლობაში უეფას მორიგ კონგრესს უმასპინძლებს. სწორედ ამით დავიწყეთ გუშინდელი საუბარი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან...

— ბუნებრივია, უეფას კონგრესი ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მართალია, არჩევნები ან რაიმე სხვა განსაკუთრებული საკითხი კონგრესის დღის წესრიგში არ არის შეტანილი, მაგრამ თუნდაც ევროპულ საფეხბურთო ელიტასთან კონტაქტების შემდგომი გაღრმავების მიზნით მნიშვნელოვანი შეხვედრები გვექნება.

— ბუდაპეშტში საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც იქნებიან. ხომ არ არის მოსალოდნელი, შესარჩევი ციკლის კალენდრის საბოლოო ვარიანტი ვადამდე გაირკვეს?

— ამ ვადის გასვლამდე არც ისე დიდი დრო დარჩა. პარასკევს, 24 მარტს საბოლოო პასუხი ნებისმიერ შემთხვევაში გვექნება.

— დღეს ფიფას პრეზიდენტისგან მიწვევა მიიღეთ...

— ბატონმა ზეპ ბლატერმა ჯერ კიდევ იანვარში, მოსკოვში შეხვედრისას მიგვიპატიჟა და ამ ხნის განმავლობაში ვიზიტის თარიღის და დეტალების დაზუსტება ხდებოდა. ციურიხში ბუდაპეშტიდან გადავინაცვლებთ, შეხვედრა კი 25 მარტს შედგება. ძნელია, გადაჭარბებით შევაფასოთ ამ ვიზიტის მნიშვნელობა. ჩვენთვის პრიორიტეტული საკითხი კი ფიფასთან ურთიერთობისას მაინც ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მსჯელობა იქნება.

— „პეპსის თასის“ დღევანდელი პრეზენტაციის შემდეგ გიგი უგულავასთან, კახა ლომაიასთან და გოკა გაბაშვილთან თქვენი შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა. თუ საიდუმლო არ არის, რა საკითხებს შეეხეთ?

— უმთავრესი, რა თქმა უნდა, ეროვნული და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონების საკითხია. კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ ამ თემაზე და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ უახლოეს მომავალში საუბრებს კონკრეტული საქმეებიც მოჰყვება.

— „პეპსის თასის“ პრეზენტაციისას ბრძანეთ, რომ ითანამშრომლებთ უეფას პროგრამა „გრას რუტთან“. ჩვენი ინფორმაციით, ამ პროგრამის პარტნიორობას საქართველოში „ოფენ ფან ფუტბოლი“ გეგმავდა...

— „გრას რუტის“, ანუ ქუჩის ფეხბურთის პროგრამა საკმაოდ მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტია და საქართველოში მისი განხორციელების პროგრამატივას ფეხბურთის ფედერაცია საკუთარ თავზე აიღებს.

გიორგი ნოზაძე

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო,

ძვირფასო მეგობარო ნოდარ!

როგორც შევთანხმდით სატელეფონო საუბრისას, მსურს დაგიდასტუროთ, რომ ფიფას პრეზიდენტი სამშაბათს, 25 მარტს, ციურიხში, ფიფას სახლში 11.00 საათზე მიგიღებთ.

ამ ვიზიტის წყალობით ჩვენ საშუალება მოგვეცემა პირველწყაროდან მივიღოთ ინფორმაცია ქართული ფეხბურთის განვითარების გეგმების შესახებ და ამასთანავე, გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება.

თქვენი და სფფ-ის გენერალური მდივნის, ბატონ უჩა უგულავას მგზავრობის და სასტუმროს ხარჯებს ფიფა აანაზღაურებს. ჩემი თანაშემწე, სელინ უბლარი უახლოეს ხანებში შეგეხმიანებათ ვიზიტის საორგანიზაციო საკითხების დასაზუსტებლად.



FIFA

Zurich, 20 March 2006

What to Zurich of the GFF President and General Secretary

Dear President dear friend Nodar,

As discussed on the phone, I would like to confirm to you that the FIFA President will receive you on Tuesday 25 April at 11.00 at FIFA House of Zurich.

This visit will give us the opportunity to have first hand information on your plans to develop Georgian football and also give you the possibility to acquire a better knowledge of our principles and procedures.

For my part, your transportation and accommodation as well as your General Secretary's, Mr. Uchi Ugulava, fly president, Mrs Esther Hubelbel (tel +41 43 222 7031 and fax +41 43 222 7039), will shortly contact your office to finalize all organizational arrangements.

Looking forward to welcoming you to Zurich, I remain

Yours sincerely,

Jérôme Champagne
Deputy General Secretary

კლაუს ტოპმიოლერმა სირაძე მწვრთნელის გავლით მოიკითხა

ალბანეთი ერთი კვირის მერე რომ ყოფილიყო...

მეორე ბუნდესლიგის ყველა ტური ორშაბათს ერთი მატჩით მთავრდება, და ეს ორშაბათი დავით სირაძის გამოდგა — ერცგებირგეს აუე-მ შინ 2:1 მოუგო როსტოკის „ჰანზას“, ჩვენებურმა კი 0:1-ზე შემოატრიალა თამაშის ჩარხი: 48-ე და 52-ე წუთებზე ორი გოლი შეაგდო და მატჩიც ასე დასრულდა. აუე უკვე შვიდი ქულით დაშორდა გასავრდნთა ზონას, არადა, სირაძეს ეს „მანევრი“ ერთი კვირით ადრე რომ შეესრულებინა, ვინძლო, დღეს ალბანეთშიც ყოფილიყო კლაუს ტოპმიოლერის ნაკრებთან ერთად.

ასეა თუ ისე, დათო ძალიან გახარებულია, არა მგონია, ამიერიდან თამაშის პრაქტიკა მომაკლდესო...

— ჯერ გატანილებზე გვითხარი...

— ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ დასწრებაზე ვითამაშე და ეგრევე დავარტყი საჯარიმოს მისადგომებიდან — ასე გავათანაბრე ანგარიში. ოთხ წუთში კი თავით ცხრიანში გავიტანე. არადა, კიდევ სამი-ოთხი რეალური მომენტი გვქონდა და დიდი ანგარიშით მოგებაც შეგვეძლო.

— კაცნაკლულებმა მოიგეთ, თანაც ასე საჭირო მატჩი. ჩავთვალოთ, რომ აუე-ს გავარდნის საფრთხე აღარ ემუქრება?

— 2:1 რომ გახდა, მერე გაგვიძევეს თავდამსხმელი ტომას კლინკა, მაგრამ ჩვენი თამაში უკვე დაჭერილი გვქონდა. პირველი ტაიმი ვერ ვითამაშეთ კარგად, შესვენების შემდეგ კი შტურმი მოვაწყვეთ და ამას გოლებიც მოჰყვა. აუე-ს გავარდნაზე აქ არავინ ლაპარაკობს. შვიდი ქულა ძალიან დიდი სხვაობა არაა, შარშან ამ დროს „ტრირსაც“ არ ემუქრებოდა საფრთხე და გავარდა, მაგრამ აუე უფრო მაღალი კლასის გუნდია, კარგი შემადგენლობა გვყავს. რა ვიცი, გერმანულ პრესასაც არასოდეს ვუხსენებივართ გასავარდნთა კანდიდატებში.

— „ჰანზასთან“ თავდასხმაში ითამაშე?

— ასე იყო. აქ ჩამოსვლისთანავე მწვრთნელმა გერდ შოდლიხმა მითხრა, მაღალი ხარ, თავით კარგად თამაშობ და ცენტრფორვარდად მჭირდებიო. ალბათ, ნახევარდაცვაში აღარც დამაბრუნებენ.

— პოლონელმა ანჟეი იუსკოვიაკმა „ჰანზასთან“ არ ითამაშა და ისაა შენი უმთავრესი კონკურენტი?

— იუსკოვიაკი ტრავმირებული იყო, მაგრამ მარტო ის როდია კონკურენტი. ვფიქრობ, მომდევნო თამაშებში მე და იუსკოვიაკს დაგვაყენებენ ძირითადში. „ჰანზასთან“ ისეთი საჭირო თამაში იყო და ისეთი საჭირო გოლები გავიტანე, რომ სასწაული უნდა მოხდეს, ძირითადიდან ამომაგდონ. უახლოესი მატჩი სტუმრად გვაქვს „ფიურტთან“, ძლიერი გუნდია, მაგრამ მოგების იმედი გვაქვს.

— „ფიურტი“ ბუნდესლიგაში გადასასვლელად იბრძვის და თუ გამწარებთ, ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგსაც“ გაახარებთ...

— რა თქმა უნდა, ესეც საქმეა... უკვე დამირეკეს იაშვილმა და ხიზანეიშვილმა და „ჰანზასთან“ გატანილი გოლები მომილოცეს.

— გერმანულ პრესაში აუე — „ჰანზას“ თამაშს ვრცელი მიმოხილვა აქვს დათმობილი. ეს იმიტომ, რომ ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კლუბთა დერბი იყო?

— კი, ასეა. აჟიოტაჟი დიდი იყო, რამდენიმე ტელევიზიამაც კი აჩვენა ეს თამაში, გულშემატკივრებმაც დიდი შეხვედრა მოგვიწყვეს და მატჩის შემდეგ ინტერვიუების დარიგებამაც მომიწია. მოკლედ, ჩემი დღე იყო, ღმერთმა გადმომხედა.

— ეს კარგი, მაგრამ საქართველოს ნაკრებში არ გამოგიძახეს და გულდაწყვეტილი იქნები...

— რას ვიზამ... პირადად მე არავინ შემხმიანებია, მაგრამ ვიცი, რომ კლაუს ტოპმიოლერმა დაურეკა აუე-ს მწვრთნელს და ჩემი ამბები გამოჰკითხა. მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და დარწმუნებული ვარ, კარგად დამახასიათებდა, უბრალოდ, იმ დროს სისტემატურად ვერ ვთამაშობდი, მიკროტრავმაც მქონდა... ახლა კი სხვანაირადაა საქმე და დიდი იმედი მაქვს, ტოპმიოლერი მომდევნო თამაშში გამომიძახებს.

ილია ნანოგაშვილი

იმედების სასაფლაო

ალანია ქართველებისთვისაც მოკვდა

ერთხელ და საბოლოოდ გადაწყდა: ვლადიკავკაზის „ალანიას“ პროფესიული სტატუსი ჩემოერთვა და რუსეთის პირველი დივიზიონიდან გაირიცხა — ეს ინფორმაცია გუშინ რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ გაავრცელა.

გეხსომებათ, „ალანიას“ ეს საფრთხე ორი-სამი კვირის წინაც ელოდა, მაგრამ მაშინ რუსული ფეხბურთის თავებმა ვლადიკავკაზელები შეიცოდეს და ფინანსური დარღვევების გამოსასწორებლად დრო მისცეს. დრო, რომელიც „ალანიამ“ ვერ გამოიყენა...

„გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ჩვენ შევადგინეთ პირველი დივიზიონის კალენდარიც და იქ „ალანიას“ ვერსად ამოიკითხავთ. ამ კლუბს პროფესიული სტატუსი აღარ გააჩნია“ — ნათქვამია პფლ-ის განცხადებაში.

ამგვარად, ჯერაც „ალანიას“ საკუთრებაში მყოფ ქართველ ფეხბურთელებს — ვიტალი დარასელიას, ლადო ბურდულს, ჯაბა კანკავას, გიორგი შაშიაშვილს, დავით კვირკველიას და ლევან გვაზავას თავისუფლად შეუძლიათ, ახალ კლუბებთან კონტრაქტი ყოველგვარი თანხის გადაუხდელად გააფორმონ.

ასე აღესრულა „ალანია“, ქართველი ფეხბურთელების იმედების სასაფლაო...

ძახა შალამბერიძე

აი, ასეთი ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკვე დაივიწყეთ, როგორ იტანჯებოდით ლოკომოტივურ სადებიუტო სეზონში?

— ნუ გამახსენებთ. დებიუტი მართლა ჩამივარდა, ამის გამო გუნდის გამოცვლასაც კი ვაპირებდი და ამის დავიწყება ძალიან ძნელია.

— თუმცა ლამაზი გოგონების ყურადღებას მაინც იპყრობდით...

— თქვენ საიდან იცით?

— თქვენ ხომ სადმე არ იმალებოდით, სტადიონზე არაერთხელ დამინახიხართ...

— აბა, გოგონებთან ურთიერთობას რა სჯობია?!

— და იქნებ სწორედ ისინი გიფანტავდნენ ყურადღებას?

— არა, ისინი არ მიშლიდნენ და არც ახლა მიშლიან ხელს, მხოლოდ მეხმარებიან.

— საერთოდ, მოსკოვი გართობის ქალაქია. ქართველი აქ როგორ გრძნობს თავს?

— ფიქრობთ, რომ ქართველები მოსკოვში თავს ვერ პოულობენ, დროსტარებას იწყებენ და სამსახურზე აღარც ფიქრობენ?

— პირადად თქვენზე ასე არ ვფიქრობ, მაგრამ, როგორც წესი, ქართველებთანაა დაკავშირებული ძალიან სახალისო სიტუაციები. აი, თქვენი პერსპექტიული ნაკრებიც ვერაფერს აღწევს, რადგან დისციპლინაში მოიკოჭლებთ. ეს თავად ქართველებისგან გამიგია...

— ახლა დისციპლინასთან დაკავშირებით ყველაფერი ნორმალურადაა. მთავარია, ყველაფრის ზომა და დრო იცოდე. ამას ყველა ახერხებს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე პრობლემა ჯერჯერობით არ შემქმნია.

— ზაზა ჯანაშიას თუ იცნობთ? ის „ლოკომოტივში“ არა მხოლოდ ბრწყინვალე თამაშით ახსოვთ...

— მას ვიცნობ, აი, მის მხიარულ ისტორიებს — არა.

ერთი წუთით — მითხრა უცებ მალხაზმა — მილიციამ გამაჩერა.

— რატომ? — ვკითხე ერთი წუთის მერე.

— ალბათ, საჭესთან მობილურით სარგებლობის გამო. კარგია, რომ არ დამაჯარიმეს.

— გიცნეს?

— არა, გზაზე თითქმის ვერასოდეს მცნობენ.

— როცა დაცვაში გადაგიყვანეს, არ გაბრაზდით? თქვენ ხომ შემტევი ნახევარმცველი ხართ...

— არ გავბრაზებულვარ, უბრალოდ, გამიკვირდა. მაგრამ ისე მონატრებული ვიყავი თამაშს, რომ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, სად დამაყენებდნენ, ოღონდ სკამზე არ ვმჯდარიყავი. თან წინ ხომ ძალიან გამოცდილი ფეხბურთელები გვყავდა...

— გამოცდილ თანაგუნდელებზე ძალიან დიდი პატივისცემით ლაპარაკობთ. კი მაგრამ, გულის სიღრმეში მათზე არ ბრაზდებოდით, არ ეუნებოდით საკუთარ თავს, რომ მათზე მაგარი ხართ?

— ყველაფერს მშვიდად შევეგუე. თან იმ დროს, მგონი, ჩემი ადგილი არსად ჩანდა. ლოსკოვი, მამინოვი... როგორ თამაშობდნენ! ყველაფერი აწყობილი იყო, თან მწვრთნელებიც მათკენ იხრებოდნენ.

— თქვენ რისკენ იხრებოდით?

მალხაზ ასათიანს ჩვენს ფეხბურთში უკვე თავისი სახელი აქვს — წერენ რუსი ჟურნალისტები. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი ფეხბურთელი კი ახლა უქმობს, ათიოდ დღის წინ მოტეხილ ლავიწის ძვალზე ოპერაცია დასჭირდა და კლუბის გარდა ვერც საქართველოს ნაკრებს ეხმარება.

„გინახავთ ასეთი „ლოკომოტივი“? გუნდი გუნდს არ ჰგავს, დაცვაში კი სრული ანარქიაა“ — ამგვარი გამოხმაურება მოჰყვა სამიოდ დღის წინ დაწყებულ პრემიერლიგის პირველ ტურში „ლოკომოტივ“ — „კრილიას“ (0:1) მატჩს. რუსების თქმით, სწორედ ამ თამაშში გამოჩნდა, რა ძალა ყოფილა მალხაზ ასათიანი, 24 წლის ქართველი ფეხბურთელი, რომლის სათამაშო პოზიცია დღემდე საკამათოა...

აი, იმის გარკვევას, თუ როგორია მალხაზი მოედანს გარეთ, ამ ინტერვიუდან შეძლებთ...

წარუმატებლობის მერე თავში ხელი არასოდეს წამიშენია

— მე ხომ არ შემეძლო, მეთქვა სიომინისთვის, რომ არ მინდა აქ თამაში, მათამაშეთ აი, იქ. სიამოვნებით ვითამაშებდი შეტევაში, მაგრამ... დაცვაშიც კმაყოფილი ვარ.

— მახსოვს, რუსეთში პირველად ქუთაისის „ტორპედოსთან“ ერთად ჩამოხვედით „თანამეგობრობის თასზე“ სათამაშოდ. მაშინვე შეგამჩნიეს?

— ყოველ შემთხვევაში, „ლოკომოტივში“ მალევე ჩამოვედი.

— მანამდე კი წარუმატებელი გამოდგა კიევის „დინამოში“ მისვლა და არც შოტლანდიური „რეინჯერსის“ ვარიანტი გამოვიდა...

— კიევში გაუგებარი ამბავი მოხდა. მგონი, მხარეები ვერ შეთანხმდნენ თუ რაღაც სხვა პრობლემები შეიქმნა, ზუსტად არ ვიცი. „რეინჯერზე“ კი სერიოზული ლაპარაკი არ ყოფილა.

— შოთა არველაძის რეკომენდაციაც არ დაგეხმარათ?

— რეკომენდაციის თაობაზე მეც გამიგია, მაგრამ მეტი არაფერი ვიცი. შოთას ძმა, რეზო აგვარებდა შოტლანდიელებთან ამ საქმეს, თუმცა რატომ არ გამოვიდა, ვერ გეტყვით.

— კიევურმა წარუმატებლობამ არ გაგაწბილათ?

— მაშინ პატარა ვიყავი და ყველაფერი იოლად მივიღე. გამოვიდა, არ გამოვიდა, რა მნიშვნელობა აქვს. მე რომ 25 წლამდე საქართველოში დავრჩენილიყავი და მერე ჩამშლოდა კიევში გადასვლა, გაცილებით საწყენი იქნებოდა.

— ანუ ახალგაზრდულმა უდარდელობამ დადებითი როლი ითამაშა?

— ალბათ. ფაქტია, პირველი წარუმატებლობების მერე თავში ხელი არასოდეს წამიშენია.

— როცა „ლოკომოტივს“ ჩავარდნა ჰქონდა, მაშინ ხომ წაიშენდით ხოლმე ხელებს თავში? ყოველ შემთხვევაში, თამაშებისას ასე ჩანდა და მოთამაშეები ერთმანეთში არ არჩევდით მიზეზებს?

— ამას რა აზრი აქვს?! ამ ყველაფერს მხოლოდ არგამართლებით ვხსნიდი და არავის არანაირ პრეტენზიას არ ვუყენებდი. საერთოდ, არ მახასიათებს დამნაშავეების ძებნა.

— იმ ჩავარდნის მერე კი „ლოკომოტივი“ ათამაშდა...

— მართალია, ცოტა ხანში ძალიან კარგად ავთამაშდით და ეს შედეგსაც დაეტყო.

— ფეხბურთში ძალიან კარგად თამაში არსებობს?

— არსებობს კარგი გოგო და არსებობს ძალიან კარგი გოგო. ასეა ფეხბურთშიც. ისე, ყველაზე ლამაზი გოგონები ქართველები და უკრაინელები არიან.

— კრიზისულ პერიოდში მწვრთნელი არაფერს გეკითხებოდათ?

— დისტანციას ყოველთვის ვიჭერდი და არასოდეს ჩამიყვია ცხვირი სხვის საქმეში. ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს მოედანზეც და მის გარეთაც.

— კი მაგრამ, ბევრ მწვრთნელს ახასიათებს ფეხბურთელებთან პროფესიული საუბარი...

— შესაძლოა, ჩვენს მწვრთნელსაც უკითხავს რჩევა ფეხბურთელებისთვის, მაგრამ არა ჩემთვის. არ მიყვარს საკუთარი აზრის დაფიქსირება მაშინ, როცა ის არავის სჭირდება.

— მაინც თუ გაიხსენებთ, როდის მოხდა ასეთი რამ?

— ისე იშვიათად ყოფილა, რომ ვერც ვიხსენებ. ეს სპორტში, თორემ ცხოვრებაში პირიქითაა — მსიამოვნებს, როცა მეგობრებს რჩევას ვეკითხები ან ისინი მეკითხებიან. ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს.

— ხდება, რომ ადამიანებს საკუთარი აზრის გამოხატვა უჭირთ...

— სიტუაციაზე ბევრია დამოკიდებული. თუ რამე არ მომწონს, თამამად ვამბობ. გულჩათხრობილიაო, ჩემზე ვერ იტყვით.

— თანაგუნდელების ყვირილზე და პრეტენზიებზე როგორ რეაგირებთ?

— ყველაფერი ხდება. მეც მიყვირიან, როცა ვცდები, მაგრამ ეს იმდენად ემოციური ყვირილია, რომ უფრო კარნახი გამოდის. ასეთ რამეებს წყობიდან არ გამოვყავარ.

— ნუთუ მართლა ასეა?

— კაცებს უყვართ უხეში ლაპარაკი. მთავარია, ეს ყველაფერი მოედანზე დარჩეს. ჩვენ ხომ ხშირად ვსაყვედურობთ ერთმანეთს, მაგრამ გასახდელში ყველაფერი მთავრდება — მეგობრები ვართ და ამით ყველაფერი ნათქვამია.

— ცხოვრებაში?

— ეს აბსოლუტურად სხვა საქმეა.

— და მაინც: ქართველის პირობაზე ძალიან მშვიდი ხართ...

— მომწონს ასეთად ყოფნა. თუმცა აფეთქებისგან დაზღვეული არ ვარ. ვფიქრობ, მოედანზე და ცხოვრებაში თითქმის ერთნაირი ვარ.

— დავიჯერო, მართლა ასეთი მომთმენი ხართ?

— ნუ გამახსენებთ! კოვალევსკიმ ხომ მაშინ გამაცოფა...

— არც მჯეროდა, რომ ეს თქვენ იყავით...

— მის ულამაზო საქციელს მეც ულამაზოდ ვუპასუხე. მაშინ საშინლად გავბრაზდი.

— ჩანს, „ლოკომოტივის“ ძველმა გვარდიამ თავისი საუკეთესო მატჩები უკვე ჩაატარა. ახლა გუნდში ახალი სახეები მოდიან, თქვენ კი ისეთი ამპლუა გაქვთ, ლიდერს რომ შეჰფერის. უფრო ზუსტად, ასეთი ამპლუა ორი გაქვთ — ორივე საკვანძო...

— დღევანდელ ფეხბურთში საჭიროა გუნდი-ლიდერი და არა ფეხბურთელი-ლიდერი. აი, მაგალითად, გუნდში რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი რომ ვიყოთ და ვერაფერს მიაღწიოთ, ვის დავჭირდებით?!

— ანუ ისეთი მოთამაშე, რომელსაც გუნდის თრევა შეუძლია, მოდაში არ არის?

— გუნდური სულია მოდაში. ვფიქრობ, ჩვენ კარგი გუნდი გვყავს, ახლა მთავარია, გუნდური სული მოგვემატოს. მე კი ლიდერად ოავს არა და არ ვთვლი.

— ნატურით როგორი ხართ?

— ნატურით ვცდილობ, ლიდერი ვიყო. ჩემი აზრით, ლიდერი არის კარგი ფეხბურთელი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება. ჩვენთან ასეთები არიან ლოსკოვი, მამინოვი, სენიკოვი, ევსეევი... აი, რამდენი ლიდერი გვყავს, თქვენ კი ჩემზე ლაპარაკობთ.

— მალხაზ ასათიანი, მხიარული ბიჭი, რომელსაც ფეხბურთის თამაში შეუძლია. რა დავამატოთ?

— ხასიათი? მებრძოლი ვარ!

— ქუთაისის „ტორპედოში“ ავტორიტეტი გქონდათ?

— ეს რა შუაშია?! საერთოდ, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, კარგ გუნდში ერთი ან ორი ადამიანი გამოარჩიო.

— ცხოვრებაში ყველაზე მეტად რა გაწუხებთ?

— რა ვიცი, როგორ გითხრათ... ყველაფერი ნორმალურადაა. ისეც ხდება ხოლმე, ვბრაზდები ადამიანებზე, ცხოველებზე...

— ცხოველებზე?

— მაგალითად, ძაღლებზე, რომლებიც იღრინებიან და სადარბაზოში არ მიშვებენ.

— თამაშების წინ განწყობას როგორ იქმნით?

— ამის ახსნა არ შეიძლება. შინაგანად ვგრძნობ, რომ მოედანზე უნდა გავიდე და მოვიგო.

— არიან ფეხბურთელები, რომლებიც მნიშვნელოვანი მატჩის წინ დისკოთეკაზე მიდიან. თან მათ ეს რეალურად უმაღლებს ტონუსს...

— ჩვენ კი ორი დღე ბაზაზე ვართ და იქ ვიმაღლებთ ტონუსს. ვვარჯიშობთ, გვძინავს... ტელევიზორის ყურებაც ძალიან მიყვარს. ასეა, ბაზაზე არც სტრიპტიზ-კლუბია, არც გოგონები და არც რესტორნები...

— გოგონები ბაზაზე რომ იყვნენ?

— ეგ ბაზა არ იქნებოდა...

— და თქვენთვის როგორ იქნებოდა უკეთესი?

— ბაზაზე გოგონებთან ერთად? არ ვიცი, არ მომისინჯავს. თუ ასეთი რამ მოხდება, მოგიყვებით.

— თამაშზე განწყობის შექმნაში მწვრთნელს რა როლი ენიჭება?

— ძალიან დიდი.

— დავუშვათ, ხვალ „სპარტაკს“ ეთამაშებით. რა სიტყვების მოსმენა გჭირდებათ მწვრთნელისგან?

— აუცილებელია, ამიხსნას, რა მევალება მოედანზე. ალბა, „ბიდით, ბიჭებო, გავარღვიოთ ისინი“ — არაფერში გამომადგება. ამას მწვრთნელი არ ამბობს. ისევე, როგორც არ გვეუბნება, როგორ ვითამაშოთ ფრე, ან როგორ წავაგოთ...

— ფრეზე თამაშს მატჩისწინა დარიგებები არ სჭირდება?

— ნამდვილი მწვრთნელისთვის ფრე და წაგება ერთი და იგივეა.

სერგეი პრიახინი
ფუტბოლ-ხოკეი

ბადრი კეთილაძის ფოტო

გოკა გაბაშვილი, კახა ლომაია, ნოდარ ახალკაცი, გიგი უგულავა, ვიქტორია შტორმი და გოგი ქავთარაძე „პეპსის თასის“ პრეზენტაციაზე

პეპსის თასი და შტორმი ფეხბურთის ფედერაციაში

პეპსის თასი სკოლებურთში

„ქართული ფეხბურთის სახლში“ ერთბაშად ამდენი მალალჩინოსნის სტუმრობა აშკარად მოულოდნელი იყო „პეპსის თასის“ პრეზენტაციაზე მიწვეული მედიისთვის. გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ ღონისძიებას პატივი თბილისის მერმა გიგი უგულავამ, განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ და კულტურისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა დასდეს. ყველა ეს უწყება ფეხბურთის ფედერაციის პარტნიორი იქნება „პეპსის თასის“ ანუ, როგორც ორგანიზატორებმა მონათლეს, „სკოლებურთის“ გათამაშებაში.

ტურნირი მართლაც მასშტაბური იქნება და მასში თბილისის 204 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მიიღებს მონაწილეობას. 25 მარტიდან მაისის ბოლომდე 204 გუნდი ჯერ დედაქალაქის 10 უბნის საუკეთესოებს, ბოლოს კი თბილისის ჩემპიონსაც გამოავლენს. წინასწარი ეტაპის შეხვედრები ათივე რაიონში მუნიციპალიტეტის მიერ აშენებულ-აღდგენილ მინი-მოედნებზე გაიმართება, ფინალური ათეული კი საუკეთესოს სპორტის სასახლეში გამოავლენს.

...სეფესიტყვა ნოდარ ახალკაცისა იყო, შემდეგ კი წამოწყების მნიშვნელობაზე სტუმრებმაც ისაუბრეს...

ნოდარ ახალკაცი: „ქუჩის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებმა საინტერესო და მნიშვნელოვან წამოწყებას დაუდეს სათავე. ეს ტურნირი უეფას „გრას რუტის“ (ქუჩის ფეხბურთის) პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და იმედი გვაქვს, რომ უკვე სექტემბრიდან თბილისის ფარგლებს გაცდება. მადლობას ვუხდით გენერალურ სპონსორ „პეპსის“ და „თოლიას“, რომლებიც გვერდში დაგვიდგნენ. მომავალში ალბათ კერძო ბიზნესი კიდევ უფრო აქტიურად დაინტერესდება ბავშვთა ფეხბურთით. სახელმწიფო სტრუქტურებთან პარტნიორობა კი პროექტის წარმატების წინაპირობა გახდება“.

გიგი უგულავა: „საბჭოთა კავშირის დროსაც კი ამგვარ შეჯიბრებებში ძირითადად სპეციალიზებული სკოლები მონაწილეობდნენ. ამგვარი მასშტაბის ღონისძიება მართლაც უპრეცედენტოა. იცით, რომ განათლების სამინისტრო გამარჯვებულ სკოლას საკუთარი ხარჯით ხელოვნურსაფარიან მინი-მოედანს აუშენებს. ამას გარდა ჩვენც დავწესეთ პრიზები პირველ სამ ადგილზე გასული სკოლებისთვის, თუმცა ამას ჯერჯერობით სიურპრიზად დავტოვებ. შაბათს ტურნირის საზეიმო გახსნა ერთბაშად რამდენიმე მოედანზე შედგება.“

კახა ლომაია: „ჩემი აზრით, „პეპსის თასის“ გათამაშებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სპორტული, არამედ სამოქალაქო ასპექტითაც. იმედია, იდეას რეგიონებიც აიტაცებენ და ათასობით ბავშვისთვის ეს იქნება არა მხოლოდ სპორტში თავის გამოჩენის, არამედ ჯანსაღ პიროვნებად, ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბების საშუალება.“

გოკა გაბაშვილი: „სასიხარულოა, რომ ტურნირში იმ ასაკის ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას, რომელთაც ყველაზე მეტად უხდებათ ჟივილ-ხივილი. ზოგი მათგანი დიდ სპორტსმენად ჩამოყალიბდება, სხვები კი ნამდვილ გულშემატკივრობას ისწავლიან. „პეპსის თასის“ გათამაშება სრულად ჯდება იმ სტრატეგიაში, რომელსაც მოიცავს ფეხბურთის განვითარების საპრეზიდენტო-ნაციონალური პროგრამა და რომელიც სხვადასხვა ფორმით უკვე ხორციელდება.“

ამის შემდეგ პრეზენტაციის კიდევ ერთი სტუმარი, კომპანია „პეპსის“ მენეჯერი *ვიქტორია შტორმი* წარმოგვიდგინეს. ამ პირმშვენიერი ქალბატონის გამოსვლის ჩანაწერი ყოველგვარი მონტაჟის გარეშე გამოდგებოდა მათივე პროდუქციის სარეკლამო რგოლად: „პეპსი“ თავისუფალი და ბედნიერი ხალხის სასმელია, იმ ადამიანების, რომლებიც ცხოვრებისგან ყველაფერს იღებენ. გვიხარია, რომ ორგანიზატორებმა თანამშრომლობა შემოგვთავაზეს და იმედი გვაქვს, მონაწილენი ტურნირის მსვლელობისას კიდევ უფრო შეიყვარებენ ამ სასმელს.“

შეგახსენებთ, რომ დებულების მიხედვით, „პეპსის“ თასის გათამაშებაში მონაწილე თითოეულ გუნდს განაცხადში 10 ბავშვი უნდა ჰყავდეს. წინასწარაა განსაზღვრული, რომ მათგან სამი 1996, სამი 1995 და ოთხი 1994 წელს უნდა იყოს დაბადებული.

უკვე ვახსენეთ, რომ გამარჯვებული სკოლა განათლების სამინისტროსგან საჩუქრად ხელოვნურსაფარიან მინი-მოედანს მიიღებს, თუმცა პატარებს ალბათ მეორე პრიზი უფრო გაახარებს — ჩემპიონები ზაფხულში ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში (სავარაუდოდ, ესპანეთში) ბავშვთა საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

გიორგი ნოზაძე

კვარაცხელიას მეორე შეტევა

მამუკა კვარაცხელია, ვინც უკვე ღიად დაუპირისპირდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და მისი საქმიანობა მკვეთრად გააკრიტიკა, 27 მარტს კიდევ ერთხელ აპირებს ქართული ფეხბურთის ქომაგებთან შეხვედრას და თავისი ანტიფედერაციული აზრის გამოთქმას. კვარაცხელია, რომელიც ჩვენი ყოფილი კოლეგაა და ბოლო დროს სასწავლებლად დანიაში გახლდათ, ქომაგებს ორი კვირის წინაც შეხვდა და მაშინ განაცხადა, რომ ამჟამინდელ ფედერაციას უპირისპირდება და ქართულ ფეხბურთში რევოლუციას აპირებს — მან უკვე სამოქმედო პროგრამაც გამოაქვეყნა.

27 მარტს კი, სავარაუდოდ, ისევ ჭადრაკის სასახლეში, მამუკა კვარაცხელია ფედერაციისადმი თავის პრეტენზიებს უფრო განავრცობს და ზოგადად ქართულ ფეხბურთში არსებულ ვითარებაზე ისაუბრებს.

დინამომ, ათასი ლარი დააბრუნოთო

„დინამოს“ მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ისევ „დინამო“ — „ზესტაფონის“ სათასო საპასუხო მეოთხედფინალზე: მატჩი 0:0 დამთავრდა, „ზესტაფონელთა“ კარში კი არბიტრმა მალხაზ მაისურაძემ გოლი არ ჩათვალა. შეხვედრის შემდეგ „დინამომ“ ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს არაკვალიფიცირებული თუ მიკერძოებული მსაჯობის გამო არბიტრის დასჯა მოთხოვა და ამ საჩივრის განხილვის საფასური 1000 ლარიც გადაიხადა. ფედერაციაში ამ მატჩის ფირი ძალიან ბევრჯერ დაატრიალეს, მაგრამ „დინამომ“ სამართალი მაინც ვერ ნახა და... თან ნახა, მათი მოთხოვნა მაისურაძის დასჯის თაობაზე დაკმაყოფილდა — მსაჯს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. სხდომაზე ითქვა, მაისურაძე ორივე გუნდის სასარგებლოდ შეცდაო.

„დინამოს“ მოთხოვნა, მაისურაძე დაისაჯოსო, დაკმაყოფილდა, თუმცა ის 1000 ლარი „დინამოს“ მაინც არ უბრუნდება. არადა, რეგლამენტით, თუ საჩივარი დაკმაყოფილდება, მომჩივან მხარეს შეტანილი თანხა უნდა დაუბრუნდეს.

სწორედ ამ თანხის დაბრუნების მოთხოვნით „დინამომ“ გუშინ საგაპელაციო კომისიასაც მიმართა და ვნახოთ, ეს დავა როგორ მოგვარდება.

კოგა ინასარიძე

თვენახევრიანი ტორპედო

ლევან კორღალიძე ლატვიაში ინგლისელმა გააბრაზა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ლევან კორღალიძის რვაწლიანი სკონტოური კარიერა თვენახევრით შეწყდა — ქართველი ნახევარმცველი ისევ რიგელებს ეკუთვნით, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის დასრულებამდე ქუთაისის „ტორპედოში“ ითამაშებს. კორღალიძემ გუშინ პირველად ივარჯიშა რევაზ ძოძუაშვილის გუნდთან და ისიც ცხადია, რომ სწორედ ძოძუაშვილია ლევანის „ტორპედოში“ ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

„საერთოდ, ის პიროვნება ვარ, გუნდურ ატმოსფეროს რომ აქცევს დიდ ყურადღებას. მირჩევნია, შედარებით სუსტ გუნდში მაფასებდნენ, ვიდრე ძლიერში მეშვიდეხარისხოვანი ვიყო. ძოძუაშვილს სურდა ჩემი „ტორპედოში“ ჩამოყვანა, იგი ჩემთვის ოჯახის წევრივითაა“.

კორღალიძეს იანვარში უმთავრდება „სკონტოსთან“ კონტრაქტი, იგი ბოლო დროს უთამაშებელი იყო და ამას რიგელთა ინგლისელი მწვრთნელის, პოლ ეშუორტის ახირებას აბრალებს. „ეშუორტმა გუნდში მოსვლისთანავე თქვა, ახალგაზრდები მჭირდებაო და რატომღაც ამითვალწუნა, თითქოს 35 წლისა ვყოფილიყავი. ამის გამო ეშუორტთან შელაპარაკება მომივიდა, უთამაშებლობის მიზეზი ვკითხე და ვერ ამიხსნა. იმას ვერ მეტყოდა, სუსტი ხარ და არ იმსახურებ თამაშსო, რადგან ასე რომ იყოს, 8 წელი „სკონტოში“ არავინ გამაჩერებდა. მერე უფრო გამიცუდდა ინგლისელთან ურთიერთობა და მოკლედ მოვუჭერი, სანამ შენ გუნდში ხარ, მე აქ ვერ ვითამაშებ-მეთქი“.

ეს გასაგებია, მაგრამ რას აპირებს ლევან კორღალიძე, როცა „ტორპედოში“ განათხოვრების ვადა დაუსრულდება? ქართველ ნახევარმცველს იმედი აქვს, რომ უკეთეს გუნდში გადავა. კორღალიძე ერთი თვის წინ ახერბაიჯანულ „ბაკიშიც“ იყო ჩასული, ერთი ტესტ-მატჩი ჩაატარა და გოლიც შეაგდო, მაგრამ კონტრაქტზე თანხის გამო ვერ შეთანხმებულან.

„ქუთაისში სხვა ემოციით ჩამოვედი, ძალიან მსურს, გუნდს დავეხმარო. კი, ბოლო ექვსი თვეა, ფაქტობრივად, არ მითამაშია, ტრავმებმაც გამაწვალა, მაგრამ ვარჯიში არ დამიკლია, ნელ-ნელა ფორმაში შევალ“ — გვითხრა ლევან კორღალიძემ.

მოკლედ, სეზონის ბოლომდე „ტორპედო“, მერე კი თავად ლევანმაც არ იცის, რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

ილია ნანოგაფვილი

მოლდიშაო კუნძულზე



ინგლისური დიპლომატია: სკოლარი ჩვენთან, უბედურება სხვაგან

საიდუმლო აღარ არის, რომ უკანასკნელ კანდიდატად ინგლისის ნაკრების მენეჯერის თანამდებობაზე ჩაწერილია ლუიშ ფელიპე სკოლარი. ამას ღიად არავინ ადასტურებს, თუმცა უარმყოფელიც არ გამოჩენილა.

პორტუგალიელთა ბრაზილიელი მწვრთნელი, მუსოლინისტი იტალიელების შთამომავალი — ფილიპაო, დიდი ფილი, ვირი და შერიფი ბრაზილიელი ხალხის თვალში, გასულ კვირაში ლონდონში იმყოფებოდა, სადაც ფეხბურთის ინსტიტუტის დირექტორ სერ ბობი რობსონის მიწვევით ლექცია წაუკითხა ინსტიტუტის მსმენელებს „როიალ ლანკასტერ ოტელის“ საკონფერენციო დარბაზში.

ბრაზილიელის 500-მდე მსმენელი იმან გააკვირვა, რომ სკოლარი ბევრად უკეთ ლაპარაკობდა ინგლისურად, ვიდრე აქამდე სმენიათ და თარგიმანი არც მოუხმარია.

ჰოდა, სალაპარაკოც შეიქნა, ამ სიბერეში რა ენების სწავლა აუტყდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კი დიდი ფილის ვიზიტი იმისთვის გამოიყენა, რომ მასთან მომავალი შეხვედრა-ინტერვიუს თარიღი დაედგინა. შეფმა, ბრაიან ბერვიკმა, რომელიც მწვრთნელის აბრეკ სამკაცა ჯგუფს მეთაურობს, ყველაფერი შეათანხმა.

57 წლის სკოლარის ტიტულები ცნობილია, მან მსოფლიოს ჩემპიონი გახადა ბრაზილია და ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა პორტუგალია. მანამდე ის წარმატებული საკლუბო მწვრთნელი იყო ბრაზილიაში. ორივე საერთაშორისო შედეგს სკოლარიმ ისე მიაღწია, რომ გზად ერიკსონის ინგლისი გაიარა მძიმე და საინტერესო თამაშებში.

დიდი ფილი ცნობილია როგორც ანგლოფილი და ინგლისური ფეხბურთის ტრფიალი. მას რამდენჯერმე უთქვამს, რომ სამგალითო, მწვრთნელად ნოტინგემელი ბრაიან კლაფი ჰყავს, რომელმაც ორჯერ მოაგებინა პატარა გუნდს ევროპის ჩემპიონთა თასი.

თავიდანვე, როგორც კი გახმიანდა ერიკსონის წასვლის ამბავი, სკოლარიმ რამდენიმე მოხერხებული კომენტარი გააკეთა: მე რომ ვიყო ინგლისელთა მწვრთნელი, გუნდის თამაშს სულ ცოტათი შევასწორებდიო, ოდნავ სიხალისეს შევიტანდი და ცოტა მეტ სისწრაფეს მოვითხოვდიო.

სკოლარის ძლიერი მხარდამჭერები და ლობისტები ჰყავს ფეხბურთის ასოციაციაში. მათ შორის უმთავრესი „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარე და ასოციაციის გავლენიანი წევრი დეივიდ დინია, რომელიც მწვრთნელთა შერჩევის პროცესში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს.

თავისი ინტერესი ინგლისის მიმართ დიდმა ფილმა გასულ კვირაში კვლავ ირიბად გამოაჩინა: „როცა მკითხეს, ინგლისის მწვრთნელობა თუ გინდაო, მივუგე, რატომაც არა-მეთქი. პორტუგალიელებმა ჩემი მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ მე ვთქვი: ზაფხულში კონტრაქტი მითავდება და რას მიბრძანებთ, უმუშევრად ვიჯდე? პორტუგალიის ფედერაცია დუმს და...“

ასოციაცია კი სკოლარის რჩეულ-კანდიდატობაზე გაიტრუნა და ის ჭორიც უარყო, ბოლტონელი სემ ალარდაისი კანდიდატთა სიიდან ამოშლილიაო. ამოშლილი არავინ არის. სამკაცა ჯგუფი უკვე ესაუბრა ალან კერბიშლის, ამ კვირაში კი მარტინ ონილს შეხვდება.

გაგიკვირდებათ და, ასოციაციის ერთ-ერთ გაუხმაურებელ კანდიდატად კვლავაც რჩება ჟერარ ულიე, რომელსაც საუცხოო „ლიონი“ ჰყავს და კარგი „ლივერპული“ ჰყავდა, თუმც ფრანგთა ნაკრებთან ერთად ამ 12 წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა. სამაგიეროდ, ულიე იყო 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგთა ნაკრების ტექნიკური დირექტორი და ემე ჟაკეს ძალიან ეხმარებოდა.

კვლავ დიდ ფილს რომ მივუბრუნდეთ, მის სასარგებლოდ დიდი ტურნირების დიდოსტატურად მართვის უნარი მეტყველებს. თანაც, მის გუნდებს ეხერხებათ და გამოსდით თამაშების შემობრუნება: ერიკსონის ინგლისი ორჯერვე უგებდა სკოლარის ჯერ ბრაზილიას, მერე კი პორტუგალიას, საბოლოო ჯამში კი მაინც წაგებული დარჩა, ანუ ერიკსონისთვის ფილიპაო ის კაცია, ვისაც ბრაზილიელები მოლდიშაოს ანუ უბედურების მომტანს ეტყვიან. თუმცა ივლისის დამდეგიდან ინგლისისთვის ერიკსონს მნიშვნელობა აღარ ექნება.

სკოლარი სხვებისთვისაც კი გამოვა მოლდიშაო: მას არ უჭირს ვარსკვლავების საქმიდან დათხოვნა და მათთან კონფლიქტებში შესვლა. ასე ამოაგდო მან ევრო-2000-ის გახსნის თამაშიდან ფერნანდო კოუტუ და რუი კოშტა, მერე კი ეროვნული გმირი ლუიშ ფიგუ შეცვალა. ბრაზილიაში მან რომარიო მოარიდა მსოფლიოს ჩემპიონობას, მეტოქის მწვრთნელიც მინდვრის კიდეზე გაულახია, თავისი ფეხბურთელებიც სახალხოდ შეურცხვენია. ერთხელ ვანდერლეი ლუშემბურგოსაც აუტეხა ჩხუბი. ვანდერლეიმ კი ასე დაახასიათა კოლეგა: „ფილიპაო ქვეყნის იმ კუთხიდანაა, სადაც ადამიანები უფრო მძიმენი არიან, ის სამხრეთელია, თუმცა დიდი პროფესიონალი გახლავთ.“

ეს ისედაც ყველამ იცის, სკოლარის კი თავისი სამხრეთელობა მოსწონს კიდეც: „მომისმინეთ, მე პოლიტიკოსი არ ვარ, რომ სიტყვები შევარჩიო. მე უფრო მძიმე სამუშაო მაქვს და ამიტომ ასეთ სისულელეებზე ვერ ვილაპარაკებ.“ ასეა თუ ისე, სკოლარი კანდიდატია, მანამდე კი, გერმანიაში ეგებ კიდევ ერთხელ შეხვდეს ერიკსონს. ის პორტუგალიელთა მწვრთნელი იქნება, შვედი — ინგლისისა. მოკლედ, მოლდიშაომ ეგებ ჯერ დააქციოს ინგლისი და მერე ააშენოს. აქამდე კი, სადაც წასწვდა, იქ წაახდინა.

ირაკლი გამყრელიძე

ლონდონიდან

ჟერარ ულიე

მე ისევ აქ ვარ!

მილანმა და ანჩელოტიმ ერთმანეთი გაიხანგრძლივეს

გუშინ კარლო ანჩელოტიმ „მილანთან“ ახალი ხელშეკრულება გააფორმა.

ანჩელოტის „შავ-წითლებთან“ ძველი კონტრაქტი სეზონის ბოლომდე ჰქონდა, კერძოდ 30 ივნისამდე, თუმც ადრიანო გალიანიმ, „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა, „პაპა კარლოს“ ახალი ხელშეკრულება, ცხადია, გაუმჯობესებული პირობებით, 2008 წლის 30 ივნისამდე შესთავაზა და ანჩელოტიმაც ქაღალდს სიამოვნებით მოაწერა ხელი. ცერემონიალი ტურატიზე, კლუბის ოფისში შედგა. რა ოგულისხმება გაუმჯობესებულ პირობებში? ცხადია, ხელფასი — ანჩელოტის წლიურად 3 მილიონი ევრო ექნება.

„მისი მუშაობით კმაყოფილები ვართ, მასთან ერთად არაერთი ტიტული მოვიგეთ. რა თქმა უნდა, სიმწარეც ვნახეთ, მაგრამ ეს ხომ ფეხბურთია, ხან მოიგებ, ხანაც წააგებ. საბედნიეროდ, ანჩელოტის ხელში „მილანს“ ბევრჯერ უმარჯვია და დამავიერებლადაც“ — განუცხადა გუშინ ადრიანო გალიანიმ „გაძეტა დელო სპორტს“.

ერთი სიტყვით, ეს ახალი კონტრაქტი ერთგვარი პასუხია მადრიდის „რეალისთვის“, რომელიც ანჩელოტის მიწვევის ვარიანტს განიხილავდა.

„ბედნიერი ვარ, აქედან წასვლაზე არასდროს მიფიქრია. ამბობდნენ, თითქოს თანახმა ვიყავი „რეალში“ გადასვლაზე, მაგრამ როგორც ხედავთ, ისევ აქ ვარ“ — ღიმილით უთხრა გალიანის ანჩელოტიმ კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ.

გიორგი ვაშაკიძე

ეგ თითი უკან წაილე

ფტერები არავის სჭირდება

უილიამ გალასი ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს — წითელი ბარათისთვის სამი ავტომატურად ეკუთვნოდა, ხოლო ერთიც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ აღმართული ცერისთვის დაამატა. ეს ცერა გალასმა მეტოქე გუნდის გულშემატკივრებს აჩვენა — ეს ჟესტი, ისევე, როგორც აღმართული ცერა, ძველ რომში, გლადიატორთა ბრძოლების წიაღშია მოგონილი და თითის ჩვენების თანამედროვე ვარიანტთან საერთო არაფერი აქვს.

მატჩი, რომლის დროსაც გალასმა ზემოაღწერილი ამბავი მოიმოქმედა, ყბადაღებული „ფულემი“ — „ჩელსი“ გახლავთ. „ფულემმა“, მოგეხსენებათ, 1:0 მოიგო, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი სტადიონზე მეტოქე გუნდების გულშემატკივართა შორის დაკა-დაკა ატყდა.

„ფულემის“ შეფებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, დაეთანხმონ ნებისმიერ სასჯელს მათი გუნდის იმ ფანისთვის, რომელსაც პოლიცია ვიდეოჩანაწერებით ან დაკითხვების გზით ამოიცნობს.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს გუნდს გამარჯვების საზეიმოდ დიდებული საშუალება მიეცა, რამდენიმე შტერმა კი ყველაფერი ჩაშალა — თქვა კლუბის პრესმდივანმა — „ფულემი“ ამ ტიპის ადამიანებისადმი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას მისდევს. ისინი კლუბიდან სამარადჟამოდ მოიკვეთებიან“.

იმავე შინაარსის განცხადება გავრცელა „ჩელსიმაც“.

პაპუნა კედია

კონტრშეტევა

უეფა, როგორც ჩანს, კონტრშეტევას ამზადებს — საქვეყნოდ ცნობილი G14-ის ბოლო სხდომა, სადაც ევროპის ბობოლა კლუბების გაერთიანებამ უეფასთვის ჩემპიონთა ლიგის ჩამორთმევაზე და მისი ფორმატის შეცვლაზე უკვე სერიოზული საუბარი დაიწყო, საპასუხო რეაქციის გარეშე არ დარჩება. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხალ ლიცკევიჩი, რომელიც იმავდროულად უეფას საკლუბო შეჯიბრებათა კომიტეტში მუშაობს, ამზადებს წინადადებას, რომელსაც საკუთრივ უეფას გარდა ფიფასაც წარუდგენს. მისი გეგმის თანახმად ფეხბურთელები და მსაჯები, რომლებიც G14-ის მოწყობილ შეჯიბრებებში გამოვლენ, დაისჯებიან.

პოლონურ გაზეთ „გაზეტა ვიბორჩასთან" ინტერვიუში მიხალ ლიცკევიჩმა განაცხადა:

„ფიფა და უეფა ვალდებულნი არიან G14-ს საპასუხო დარტყმა მიაყენონ. საამისოდ, ჩემს კომიტეტს ორ მოსაზრებას პირადად მე წარვუდგენ. ერთში გათვალისწინებულია G14-ის სუპერლიგაში გადასულ ფეხბურთელთა სამუდამო მოკვეთა ფიფასა და უეფას შეჯიბრებებისგან. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ეფექტს მოახდენს. ფეხბურთელები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის პერსპექტივას სუპერლიგაში არ გაცვლიან. მეორე მოსაზრება კი მსაჯების ზუსტად ისევე დასჯაა. ბოლოს და ბოლოს ფული ყველაფერს არ ნიშნავს".

პაპუნა კედია

ფლორო შუსტერია

ბერნდ შუსტერი

მადრიდული „ასი" გვამცნობს, რომ ბერნდ შუსტერი, „ხეტაფეს" ამჟამინდელი თავკაცი, 2006-07-ის სეზონში შეიძლება მადრიდის „რეალის" მწვრთნელი გახდეს. გერმანელის დანიშვნის მომხრე ბენიტო ფლოროა, „რეალის" სპორტული დირექტორი.

„ბერნდ შუსტერი შემტევი ფეხბურთის მოყვარულია, თავის ყოფილ კლუბ მადრიდის „რეალს" შესანიშნავად იცნობს და ჭირვეული ფეხბურთელების მოთოკვასაც შეძლებს" — უთქვამს ბენიტო ფლოროს მადრიდული გრანდის პრეზიდენტ ფერნანდო მარტინისთვის. თუმცა, საქმე ის გახლავთ, რომ „რეალის" დირექტორატთან უთანხმოების გამო ფლოროს შესაძლოა თანამდებობა დაატოვებინებენ და შუსტერის „რეალში" გამწვრთნელების საქმეც ალბათ გართულდება.

ლადო ხომერიკი

რონალდ ლინცი (მარცხნივ) სამაჯურისთვის გააგდეს

მსაჯი იქით გააყვითლეს

სამაჯურის ჯანონი სამაჯურივითაა: გინდა, ჰო, გინდა, არა

საინტერესო ამბავი მოხდა ავსტრიაში: ქვეყნის საფეხბურთო ლიგამ დაგმო სამკაულის ტარების გამო მოთამაშის გაძევების ფაქტი, მაგრამ მისი გუნდის სურვილი, შეხვედრის შედეგი გაეუქმებინათ და მატჩი თავიდან ჩაეტარებინათ, არ დაკმაყოფილა.

დავაზუსტოთ: კვირას „ზალცბურგმა" შინ „აუსტრიას" 3:0 მოუგო და ამ თამაშის 28-ე წუთზე მსაჯმა დიტმარ დრაბეკმა სტუმართა თავდამსხმელი რონალდ ლინცი მეორე ყვითელი ბარათით დასაჯა ანუ მოედნიდან გააძევა. მეორე ყვითელი ბარათის მიზეზი, როგორც გაირკვა, ლინცის სამაჯური გახლდათ, რომელიც არბიტრს ხსენებულ 28-ე წუთზეღა შეუმჩნევია. მოგვიანებით დრაბეკმა დააზუსტა, რომ თამაშის დაწყების წინ „აუსტრიას" ფორვარდი სამაჯურთან დაკავშირებით გააფრთხილა, მან კი ეს გაფრთხილება ყურად არ იღო და მოედანზე მაინც სამაჯურით გავიდა, მაგრამ მსაჯის ამ განმარტებამ ის მაინც ვერ გაამართლა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საფეხბურთო ლიგამ ლინცს დისკვალიფიკაცია არ მიუსაჯა და აღნიშნა, რომ არბიტრმა ამ მოთამაშის გაძევებისთვის საკმარისი მიზეზი ვერ წარმოადგინა. სხვა საქმეა, რომ „აუსტრიას" ხელმძღვანელობას, თავის მხრივ, მატჩის შედეგის გაუქმებაც სურდა, მაგრამ ლიგამ უარი უთხრა.

„საქმის განხილვამ გვაჩვენა, რომ მსაჯს შეეშალა და, შესაბამისად, ჩვენ მართალი ვიყავით, გადათამაშება რომ მოვითხოვეთ. ნამდვილად უცნობია, როგორ დამთავრდებოდა შეხვედრა, თერთმეტს თერთმეტის წინააღმდეგ რომ გვეთამაშა, მაგრამ რაკი ლიგამ ვერდიქტი გამოიტანა, ჩვენ სამართლის სიტყვის წინააღმდეგ ხმას არ ავიმაღლებთ" — განაცხადა „აუსტრიას" სპორტულმა დირექტორმი პეტერ შტიოგერმა.

მეორე მხრივ კი, ავსტრიის მსაჯთა კომისიამ მხარი დაუჭირა კოლეგას. ავსტრიელმა არბიტრებმა საზოგადოებას ფიფას ის მუხლი წარუდგინეს, რომელშიც ნათლად წერია, რომ ფეხბურთის სამკაულებით თამაში არ შეიძლება, სახიფათოა.

სხვა საქმეა, რომ ეს კანონი მაინცდამაინც არ სრულდება...

პაპუნა კედია

ფრთხილად, ქალები მოდიან!

მინის მაქსი სურვილი

ტესა ჯოუელი, მინი კრატუელი და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფი ბრაიან ბერვიკი

ათი წლის ლონდონელმა გოგონამ მინი კრატუელმა საფეხბურთო საყაროში სქესთა თემა შემოიტანა — მინის დიდობაშიც ბიჭების გუნდში უნდა თამაში, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციის კანონი 12 წლიდან ამის უფლებას აღარ მისცემს.

„ეს უსამართლობაა — აცხადებს გოგონა — ძალიან მომწონს გუნდი, რომელშიც ამჟამად ვთამაშობ და სულაც არ მინდა, ორი წლის შემდეგ სხვაგან გადავიდე".

ზემოთ აღწერილი უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად მინიმ და მამამისმა გრეგმა რკინის ქალამნები ჩაიცვეს და ფეხბურთის ასოციაცია რაა, სპორტის სამინისტრომდე მივიდნენ, სადაც მინისტრ ტესა ჯოუელს თავიანთი სიმართლე დაანახეს. მეტიც, ხმა მინის პრობლემის შესახებ ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონ გერმანიის ნაკრებსაც მიუვიდა და მანაც თავისი წილი მხარდაჭერა აღუთქვა პატარა ფეხბურთელს.

ზემოხსენებულმა მინისტრმა ჯოუელმა, რომლის უწყებას სრულად კულტურის, მედიის და სპორტის სამინისტრო ეწოდება, საკითხის ღრმად შესწავლა გადაწყვიტა და მინი კრატუელის თამაშის სანახავად პირადად მივიდა ბავშვთა საფეხბურთო მოედანზე, სადაც თავდაუზოგავი პატარა გოგონა იხილა. ცნობისთვის, ბრიტანეთში კულტურის, მედიის და სპორტის სამინისტროს ქალთა პრობლემებიც ეხება.

„ინგლისში ქალთა ფეხბურთი არნახული ტემპით ვითარდება, მაგრამ ამასთან მთელ ევროპაში ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელმაც იჩქარა და ქალთა და კაცთა ერთ გუნდში თამაში აკრძალა" — ბრძანა ქალბატონმა მინისტრმა, რომელმაც მინის საკითხი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას განსახილველად დაუყენა და ეს ორგანიზაციაც იძულებული შეიქნა ბავშვთა აზრის გასაგებად მთელი ინგლისი მოევლო.

„ჩვენ ვესაუბრეთ მინისა და მის მეგობრებს, აგრეთვე გამოვკითხეთ სხვადასხვა ასაკის ბავშვების აზრი და გავარკვიეთ, რომ აქ საქმე არჩევანის უფლებას ეხება. ადამიანებისთვის არჩევანის შეზღუდვა მათთვის პროგრესისკენ მისასვლელი გზის გადაკეტვას ნიშნავს — განაცხადა ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა.

თურმე გოგონებისა და ბიჭების ერთ გუნდში თამაშის საქმეში შედარებით წინ არის გერმანია, რომელსაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრები ჰყავს ანუ სუსტი სქესის ფეხბურთელთა აღზრდაში ძლიერია. როგორც მინი კრატუელის მამამ გრეგ კრატუელმა შეიტყო, გერმანიაში გოგონებსა და ბიჭებს ერთად თამაშის ნებას შედარებით უფრო დიდ ასაკამდე რთავენ და ამას დადებითი შედეგი მოაქვს.

სილვია ნაიდი, გერმანიის ქალთა ნაკრების მწვრთნელი: „ბიჭებთან თამაში ნებისმიერი გოგონასთვის დიდი გამოცდილებაა. ვაჟთა გუნდის ძირითადში ადგილის მოპოვება ბრძოლისუნარიანობასთან არის დაკავშირებული. კაცებთან შეჯიბრება ფიზიკურად განავითარებს".

მაგრამ საქმე მხოლოდ სათამაშო გამოცდილებასა და სხვა საფეხბურთო წვრილმან-მსხვილმანებში ხომ არ არის, აქ უმნიშვნელოვანესი ჯანმრთელობაა. კერძოდ, როგორც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ზემოხსენებული პრესატაშე ამბობს, გოგონებსა და ვაჟებს ზრდისა და ფიზიკური განვითარების სხვადასხვა ტემპი და ეტაპები აქვთ, რაც მხოლოდ სიმაღლის აყრას კი არ გულისხმობს, არამედ კუნთებისა და მასის ზრდასაც, ასე რომ, ტრავმების თვალსაზრისით ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო.

მაგრამ მინისთვის ეს ყველაფერი სულერთია, მას თავის გუნდში უნდა თამაში.

„ვიცი, რომ გავიზრდები, უამრავ ჯილდოს მოვიგებ და მინდა, ეს სიხარული შერეულ გუნდში მეწვიოს" — ამბობს გოგონა.

პაპუნა კედია

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

A ჯგუფი

გერმანია, ეკვადორი, პოლონეთი, კოსტა რიკა

ეკვადორი ალბათ რაღაცას ნიშნავს

ეკვადორი ამ საუკუნეში მოფერიანდა. ზედიზედ ორჯერ მუნდიალზე მოხვედრაც ამის დასტურია. 2002-ის შესარჩევ ეტაპზე, ეკვადორელები მხოლოდ ბრაზილიას, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს ჩამორჩნენ. არანაკლებ წარმატებული გახლდათ გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი — მესამე ადგილი არგენტინისა და ბრაზილიის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ეკვადორს შინ ერთი მატჩიც არ წაუგია.

* * *

— ეკვადორელთა ნახევარმცველმა ჯოვანი ესპინოზამ შესარჩევ ეტაპზე თვრამეტივე მატჩი ითამაშა. იგი ჩამშლელია, თუმც შეტევების წამოწყებაც შეუძლია და საკმაოდ ტექნიკურია.

* * *

მწვრთნელი: ლუის სუარესმა ნაკრები 2004 წლის კოპა ამერიკას შემდეგ ერნან დარიო გომესისგან ჩაიბარა. სწორედ გომესმა გაიყვანა ეკვადორი პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე. სუარესის ხელი გუნდს მალქვე დაეტყო. მან ვეტერანი ფეხბურთელები ისევ დააბრუნა ნაკრებში და ახალგაზრდებთან მათი შეთამაშებით კარგ შედეგებს მიაღწია.

ლუის სუარესი

* * *

კაპიტანი: 31 წლის ივან ურტადო ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია. ამ ცენტრალურ მცველს ნაკრების მაისურით 130-ზე მეტი მატჩი უთამაშია. კარიერის საუკეთესო წლები მექსიკურ კლუბებში გაატარა. ახლა კი ყატარში ავორებს ბურთს. აღსანიშნავია, რომ ურტადო მშობლიურ ქალაქ ესმერალდაში უპატრონო ბავშვთა სახლს მფარველობს.

* * *

მონავარი: ეკვადორი 2002 წელს პირველად მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ჯგუფში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსანი ხორვატია დაამარცხა.

* * *

მეგოლე: აუგუსტინ დელგადოს გოლების წყალობით ეკვადორმა 2002 წლის მუნდიალზე გააღწია. მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების პირველი გოლიც მის ანგარიშზეა. აღსანიშნავია, რომ ვეტერანი ფორვარდი კორეა-იაპონიაში ტრავმირებული თამაშობდა, რამაც მის შემდგომ საკლუბო კარიერას დაღი დაასვა. მას ტრავმა გაუმიზეზდა, ფორმის აღდგენა გაუჭირდა და ინგლისურმა „საუთჰემპტონმაც“ დელგადოსთან კონტრაქტი გაწყვიტა. იგიც მექსიკაში გადაბარგდა, ახლა კი ეკვადორულ „ბარსელონაშია“. დელგადო სამშობლოში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენად ითვლება.



აუგუსტინ დელგადო

* * *

ლიდერი: ასეთი ედისონ მენდესი გახლავთ. ეს შემტევი ნახევარმცველი ბრწყინვალე დარტყმებით გამოირჩევა და არც ტექნიკასთანაა მწყრალად.

* * *

ტაქტიკურად გამართული თამაში, რომელიც მოკლე პასებზე და ფლანგურ შეტევებზეა აგებული.

* * *

\+ საერთაშორისო გამოცდილების ნაკლებობა. მათ ევროპაში ნათამაშები მხოლოდ სამი ფეხბურთელი ჰყავთ. არ ჰყავთ კვალიფიციური მცველები და ვერც მეკარეები არიან საიმედონი.

* * *

— ლიბერტადორესის თასის (ჩემპიონთა ლიგის სამხრეთამერიკული ანალოგი) ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი სწორედ ეკვადორელია — 60-იან წლებში ალბერტო სპენსერი ბრწყინავდა. მან კარიერის საუკეთესო წლები ურუგვაულ „პენიაროლში“ გაატარა.

* * *

აზრი: „მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის დიდი გამოცდილება არ გვაქვს, მაგრამ მუნდიალზე ზედიზედ მეორედ მოხვედრა ალბათ რაღაცას ნიშნავს. ჩვენ ხომ შესარჩევ ეტაპზე ისეთი დიდი გუნდები დავამარცხეთ, როგორებიც ბრაზილია და არგენტინა არიან“ — თქვა ეკვადორის ოლიმპიური კომიტეტის ჩინოსანმა სანდრა ლოპესმა.

ედისონ მენდესი (№19)

ივან ურტადო

ეკვადორის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

9 ივნისი	პოლონეთი — ეკვადორი	გელზენკირხენი
15 ივნისი	ეკვადორი — კოსტა რიკა	ჰამბურგი
20 ივნისი	ეკვადორი — გერმანია	ბერლინი

ეკვადორის გზა ფინალური ეტაპისკენ

06.09.2003	ეკვადორი — ვენესუელა	2:0
10.09.2003	ბრაზილია — ეკვადორი	1:0
15.11.2003	პარაგვაი — ეკვადორი	2:1
19.11.2003	ეკვადორი — პერუ	0:0
30.03.2004	არგენტინა — ეკვადორი	1:0
02.06.2004	ეკვადორი — კოლუმბია	2:1
05.06.2004	ეკვადორი — ბოლივია	3:2
05.09.2004	ურუგვაი — ეკვადორი	1:0
10.10.2004	ეკვადორი — ჩილე	2:0
14.10.2004	ვენესუელა — ეკვადორი	3:1
17.11.2004	ეკვადორი — ბრაზილია	1:0
27.03.2005	ეკვადორი — პარაგვაი	5:2
30.03.2005	პერუ — ეკვადორი	2:2
04.06.2005	ეკვადორი — არგენტინა	2:0
08.06.2005	კოლუმბია — ეკვადორი	3:0
03.09.2005	ბოლივია — ეკვადორი	1:2
08.10.2005	ეკვადორი — ურუგვაი	0:0
12.10.2005	ჩილე — ეკვადორი	0:0

საბოლოო ცხრილი

ბრაზილია	18	9	7	2	35:17	34
არგენტინა	18	10	4	4	29:17	34
ეკვადორი	18	8	4	6	23:19	28
პარაგვაი	18	8	4	6	23:23	28
ურუგვაი	18	6	7	5	23:28	25
კოლუმბია	18	6	6	6	24:16	24
ჩილე	18	5	7	6	18:22	22
ვენესუელა	18	5	3	10	20:28	18
პერუ	18	4	6	8	20:28	18
ბოლივია	18	4	2	12	20:37	14

სტადიონები

ფრანკფურტი. ვალდშტადიონი. ტევადობა 71 176

1920 წელს ააშენეს და შემდეგ ორგზის გადააკეთეს — 1974-ში მუნდიალისთვის და 1988-ში ევროპის ჩემპიონატისთვის. აღსანიშნავია ამ არენაზე 1974 წელს გამართული გფრ-პოლონეთის ნახევარფინალური მატჩი. მაშინ თავსხმა წვიმამ მოედანი დატბორა. 1966 წელს კი „ვალდშტადიონმა" დიდ კრივს უმასპინძლა — ლეგენდარული მუჰამედ ალი კარლ მილდერბერგერის წინააღმდეგ



მიუნხენი. ალიანს არენა. ტევადობა 66 016

მისი გადაკეთებისთვის გერმანელებმა 280 მილიონი ევრო დახარჯეს

კაიზერსლაუტერნი. ფრიც ვალტერ შტადიონი. ტევადობა 41 170

